



# BETOCRETE®-C35

Art.-No. 4 06705

კრისტალური წყალუქონადი ბეტონის მინარევი.

### გამოყენების არეალი:

BETOCRETE-C35 არის კრისტალური ბეტონის მინარევი, გამოიყენება მუდმივი წყალგაუმტარი ბეტონის შესაქმნელად:

- წყლის შემაკავებელი სტრუქტურები; სასმელი წყლის ავზები, საკანალიზაციო გაყვანილობები.
- წყლის დამჭერი სტრუქტურები; საყრდენი კედლები, გვირაბები, ლიფტის შახტები, კაშხლები.
- მიწისქვეშა სტრუქტურები; სარდაფები.
- მასობრივი ბეტონი.

### უპირატესობები:

- მუდამ აქტიური; შეუძლია შეავსოს სამომავლო სტატიკური ბზარები 400 მიკრონამდე.
- გაუმჯობესებული საბოლოო სიმტკიცე.
- უზრუნველყოფს რკინა-ბეტონის დამატებით დაცვას ქლორის იონის შემცირებით.
- შესაძლებელია გამოვიყენოთ მაღალი წყლისა და ცემენტის თანაფარდობით(0.55 მდე) ბეტონებში
- უძლებს წყლის მაღალ წნევას (14 ბარამდე).
- თავსებადია თითქმის ყველა ტიპის ბეტონის მინარევებთან.
- ხსნის ზედაპირის წყალუქონადობის საჭიროებას.

### ძირითადი მახასიათებლები:

ფერი: რუხი  
ფორმა: ფხვნილი  
კუთრითი წონა: 1.04 g/cm<sup>3</sup>  
დამუშავების ტემპერატურა.: +8°C to +30°C  
მოხმარების ტემპერატურა.: +5° C დან

### დოზირება:

დოზირების რაოდენობა დამოკიდებულია ბეტონის და დულაბის მიქს დიზაინზე და ცემენტის რეაქტიულობაზე. საჭიროა ჩატარდეს კვლევა რათ გავიგოთ ზუსტი რაოდენობა. რეკომენდირებული დოზა- ცემენტის მასის 0.8 – 1.5%

### გამოყენების ინსტრუქცია:

#### დოზირება დულაბში:

დავამატოთ BETOCRETE-C35 აგრეგატს დაახლოებით ნახავი წყლის 40%. მოვზილოთ დაახლოებით 2 წუთი სანამ დავამატებთ დარჩენილი წყლის და ცემენტის რაოდენობას.

### დოზირება მზა ბეტონში :

დაამატეთ BETOCRETE-C35 აგრეგატს და მოურიეთ დაახლოებით 30 წამი სანამ დაამატებთ წყალს და ცემენტს. გააგრძელეთ მორევა დაახლოებით 45 წამი მანამ სანამ ბეტონი არ მიაღწევს მის სამუშაო თვისებებს.

### დოზირება სატვირთო-მიქსერში:

BETOCRETE-C35-ის დამატება სამუშაო ადგილზე (ავტომიქსერში) არ ხდება ფხვნილის სახით, არამედ სუსპენზიის სახით წყალთან ერთად. მოურიეთ BETOCRETE-C35-ის საჭირო რაოდენობა წყალთან ერთად საჭირო ჭურჭელში და დაამატეთ ეს მასა ცილინდრში .მიახლოებითი თანაფარდობა არის 1:1, დაამატეთ დაახლოებით 5 ლ წყალი 5 კგ BETOCRETE-C35-ს.

საჭირო მორევის დრო 1მ<sup>3</sup> შეიძლება იყოს 1 წუთიდან 5 წუთამდე. მიაქციეთ ყურადღება , რომ დამატებითმა წყლის მასამ არ გაზარდოს წყლის/ ცემენტის თანაფარდობა დაპროექტებულზე ზემოთ.სხვაგვარად წყლის რაოდენობა უნდა შემცირდეს.

სიცოცხლისუნარიანობა BETOCRETE-C35 -ის დამატების შემდეგ დამოკიდებულია გამოყენებული ცემენტის აქტიურობაზე, ამიტომ შესაძლებელია შემცირდეს ან გაიზარდოს.

ბეტონში შემანელებელის დამატება როგორცაა

**RUXLITH-T5 (VZ)** ან **REMITARD-20 (BV)** შეიძლება იყოს აუცილებელი როდესაც ვიყენებთ პორტლანდ ცემენტის ტიპს I, II ან III. გამოყენებამდე საჭიროა ჩატარდეს ლაბორატორიული ტესტი.

### შეფუთვა

5 კგ პლასტიკური ტომარა, 25 კგ ტომარა.

### შენახვა & ვარგისიანობა

BETOCRETE-C35 ვარგისია 12 თვის განმავლობაში მშრალად შენახვის პირობებში +20° C -ზე, ორიგინალ, გაუხსნელ ტომარაში.

